

**პრესრელიზი**  
**სემეკის 2007 წლის 30 ნოემბრის საჯარო სხდომის შესახებ**

30 ნოემბრის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

▪ **„შპს „გზაპროექტსა“ და სს „თელასს შორის არსებული დავის შესახებ“ სემეკის გადაწყვეტილების პროექტის განხილვა**

სემეკს სს „თელასის“ მიერ ზედმეტად დარიცხული ელექტროენერგიის საფასურის ოდენობის სამართლიანობის თაობაზე საჩივრით მიმართა შპს „გზაპროექტმა“.

2006 წლის 14 თებერვალს სს „თელასის“ წარმომადგენლებმა შეამოწმეს შპს „გზაპროექტის“ ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძი და შეადგინეს შესაბამისი აქტი, რომლის მიხედვით აბონენტის მრიცხველი და მეორადი კომუტაციის წვერები იყო დამწვარი, ხოლო მრიცხველის ბრჯენები – ძირს ჩამოყრილი, მიუხედავად იმისა, რომ მრიცხველი დაცული იყო ბოქლომით დაკეტილ ყუთში, რომლის გასაღებიც ინახებოდა „თელასში“. 2006 წლის 21 თებერვალს სს „თელასმა“ მოახდინა მრიცხველის ლაბორატორიული შემოწმება აბონენტის დასწრების გარეშე. აქტისა და მრიცხველის ლაბორატორიული შემოწმების დასკვნის საფუძველზე, „თელასმა“ განახორციელა დარიცხვა – 253256 კვტ.სთ-ზე 34313,38 ლარი – სემეკის 2001 წლის №15 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდის მე-7 მუხლის გამოყენებით, რაც გაავრცელა დაახლოებით ერთ წელზე. საგულისხმოა, რომ ელექტროენერგიის დატაცების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, რაც საჭიროებს სათანადო დასაბუთებას, აღურიცხავი ელექტროენერგიის დარიცხვა უნდა განხორციელდებოდეს შესწორების კოეფიციენტის საშუალებით ან/და აღრიცხვის კვანძის მოწესრიგების შემდგომი გარკვეული პერიოდის საშუალო მოხმარების მიხედვით. ამ შემთხვევაში, „თელასის“ მხრიდან, თანხის დარიცხვისას მოხდა სემეკის დადგენილების მე-7 მუხლის არასწორი ინტერპრეტაცია.

როგორც აბონენტის ბრუნვის ისტორიიდან ირკვევა, აღრიცხვის კვანძის მოწესრიგების შემდგომ, 1 წლის განმავლობაში „გზაპროექტის“ მიერ მოხმარებულმა ელექტროენერგიამ შეადგინა 269 912 კვტ.სთ, რაც 89 720 კვტ.სთ-ით ნაკლებია დარიცხვის პერიოდში მრიცხველით აღრიცხული და ზედმეტად დარიცხული ელექტროენერგიის ჯამისა. „გზაპროექტის“ ძირითადი მოთხოვნა სწორედ უსაფუძვლო დარიცხვის გაკორექტირება იყო.

სადავო საკითხის ამომწურავად შესწავლის მიზნით, სემეკმა მიმართა „საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს“, რათა შეეფასებინა მრიცხველის ლაბორატორიული შემოწმების დასკვნის შედეგები. მიღებული პასუხის თანახმად, მრიცხველი აჩქარებულია და დაახლოებით 10%-ით ზედმეტად აფიქსირებდა დახარჯულ ელექტროენერგიას, რაც ლოგიკურად გამორიცხავს მომხმარებლის მხრიდან ელექტროენერგიის დატაცების ფაქტს და ადასტურებს სს „თელასის“ მიერ შედგენილი აქტების უსაფუძვლობას.

მხარეთა მოსმენის შემდგომ, სემეკმა მიზანშეწონილად მიიჩნია რიგი საკითხების დაზუსტება და დავის განხილვა მორიგი სხდომისთვის გადადო.

▪ **„შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ“ სემეკის გადაწყვეტილების პროექტის განხილვა**

დავა ეხება 2006 წლის 31 აგვისტოს შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „თელასს“ შორის დადებული პირდაპირი ხელშეკრულების – „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დისპეტჩინგისა და გადაცემის მომსახურების შესახებ“ – იმ პუნქტს, რომლის მიხედვით ორთაჭაღვანის მიერ გამოთქმულ და მიმღები პირისთვის მიწოდებულ ელექტროენერგიაზე, მიმღები ელექტროსისტემას უნაზღაურებს მხოლოდ დისპეტჩინგის მომსახურების საფასურს, ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურების ღირებულების გარეშე.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ „თელასს“ წარუდგინა ორთაჭაღვანისგან შესყიდული ელექტროენერგიის მთლიან რაოდენობაზე გადაცემის საფასურის გადახდის მოთხოვნა, რაც „თელასმა“ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ 28-ე მუხლის თანახმად, ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურება ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულებით ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურების ნასყიდობაზე. აგრეთვე, „ბაზრის წესების“ ამ მუხლში შეტანილი ცვლილების მიხედვით, კვალიფიციური საწარმოების მიერ გადაცემის ლიცენზიატის მომსახურება უნდა ანაზღაურდეს გადაცემის ქსელის საშუალებით, მიწოდების პუნქტებში გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობის მიხედვით, რომელშიც არ შეიძლება შედიოდეს „ორთაჭაღვანის“ გამოთქმული და უშუალოდ „თელასის“ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგია.

სემეკმა, მოდავე მხარეების მხრიდან დამატებითი არგუმენტების მოსმენის შემდეგ, გადაწყვიტა: ვინაიდან შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „თელასს“ შორის დადებული ხელშეკრულება სრულ შესაბამისობაშია „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებთან“, „ელექტროსისტემასა“ და „თელასს“ შორის „ორთაჭაღვანის“ გამოთქმული და „თელასის“ ელექტრულ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის შესაბამისი გადაცემის მომსახურების საფასურის გადახდისთან დაკავშირებული დავის საფუძველი არ არსებობს.

- „შპს „აკრიანი 2006“-ზე ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სემეკის გადაწყვეტილების პროექტის განხილვა  
 სემეკმა განიხილა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მაძიებლის შპს „აკრიანი-2006“-ის განაცხადი.  
 წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, რომელიც კომისიამ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია, „აკრიანი-2006“ განახორციელებს გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფის მოსახლეობის გაზმომარაგებას.  
 სემეკის გადაწყვეტილებით, შპს „აკრიანი-2006“-ზე გაცემა ბუნებრივი გაზის განაწილების უვადო ლიცენზია – სერია 23, №096.
- შპს „აკრიანი 2006“-ის სატარიფო განაცხადის განხილვა. /ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ/  
 ლიცენზიის გაცემის შემდეგ, სემეკმა განიხილა შპს „აკრიანი-2006“-ის სატარიფო განაცხადი და ლიცენზიატს დაუდგინა განაწილების ტარიფი 12,601 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფი – 43,22 თეთრი/მ<sup>3</sup>.

*სემეკის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი*